ანტიმოზ ივერიელის შემოქმედების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ, მის ფენომენოლოგიურ თეოლოგიაში შესაძლოა მოვნახოთ ამ წინააღმდეგობის დაძლევის გზა, რომელიც დაგვეხმარება არისტოტელეს მეტაფიზიკის ხელახალ ინტერპრეტაციაში.

## დურა ნიკოლაე ვ. მიტიტიელუ კატალინა

ახალი კვლევები მიტროპოლიტ ანტიმოზ ივერიელის რუმინული მოწაფის და მიმდევრის მიჰაი იშტვანოვიჩის საგამომცემლო საქმიანობის შესახებ ვლახეთსა და საქართველოში

*საკვანძო სიტყვები:* სასტამბო საქმის ხელოვნება, რუმინული და ქართული ისტორიოგრაფია, საქართველოში ტიპოგრაფიის დამბარსებელი.

ჩვენს მოხსენებაში შევეცადეთ საკითხში გათვიცნობიერებული მკითხველის ყურადღება მიგვეპყრო შემდეგი გარემოებისთვის: დიდი ჰუმანისტის, მეცნიერის ანტიმოზ ივერიელის მოწაფისა და მისი საქმის გამგრძელებლის, მიჰაი იშტვანოვიჩის (სტეფანეშვილი) ცხოვრებისა და განსაკუთრებით სასტამბო მოღვაწეობის ამსახველ მასალებში, როგორც რუმინულ ასევე ქართულ ლიტერატურაში, შეინიშნება გარკვეული შეუსაბამობები და თეთრი ლაქები.

მიჰაი იშტვანოვიჩის მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში აღსანიშნავია მისი საგამომცემლო საქმიანობა. სხვებთან ერთად მან დააფუძნა პირველი ქართული ტიპოგრაფია, სადაც დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნები. ეროვნული სტამბის დაფუძნებით იშტვანოვიჩმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ჰუმანისტური ქრისტიანული კულტურის ჩამოყალიბებას.

მიჰაი იშტვანოვიჩმა დიდად შეუწყო ხელი ორი მართლამდიდებელი ერის, რუმინელებისა და ქართველების დაახლოვებას. ამ ურთიერთობათა ჩამოყალიბების პირველი ინიციატორი დააქტიური მოღვაწე კი გახლდათ თავად ანტიმოზ ივერიელი, ვლახეთის მიტროპოლიტი.

შენიშვნებისთვის

## დინუ აომილიუ

წმინდა წერილის პატრისტული ინტერპრეტაცია უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტის – წმინდა ანთიმოზ ივერიელის თხზულებებში (1709-1716)

საკვანძო სიტყვები: დამფუძნებელი, ორატორული ხელოვნება, ქადაგება, საჯარო საუბრის ტექნიკა, რიტორიკა, მადლობილი მჭევრმეტყველება, ბიზანტიური რიტორიკა, ლიტერატურული კრიტიკა, რუმინული ლიტერატურა.

წინამდებარე სტატიაში შესწავლილია მიტროპოლიტ ანთიმოზ ივერიელის წმინდა წერილის – ბიბლიის განმარტებისა და ინტერპრეტაციის მეთოდი. შესწავლის მთავარ წყაროდ გამოვიყენეთ „დიდაქები“ – ანუ მისი ქადაგებების კრებული. სტატიის პირველ ნაწილში მოკლედ აღნიშნულია ანთიმოზის ცხოვრებისა და მოძღვრების მნიშვნელობა და აქტუალობა დღევანდლობაში. კერძოდ აღნიშნულია, რა დიდი წვლილი შეიტანა წმინდა ანთიმოზის ქადაგებებმა თავისი ღრმა სულიერი შინაარსით და მისმა აშენებულმა ყოველთა წმიდათა სახელობის მონასტერმა თავისი მაღალი მისტიკური ცხოვრებით, რომლის კვლევებშიც მეორე მსოფლიო ომისა და კომუნისტური რეჟიმის დამყარების ძნელებლობის ჟამს, 1943-1948 წლებში, იკრიბებოდა რუმინელი ინტელიგენციის, საზოგადო მოღვაწეების და მოაზროვნე მრევლის წრე, რომელიც ქვეყნისა და რუმინელი ერის გადარჩენას ხელაუწყებდა წმინდა ანთიმოზ ივერიელისა და ზოგადად წმინდა მამების სულიერი მემკვიდრეობის შესწავლაში, ათვისებაში და შინაგანი ლოცვითა და მარხვით პირად ცხოვრებაში გატარებაში.

სტატიის მეორე ნაწილში მოყვანილია რამოდენიმე ციტატა წმინდა ანთიმოზის ქადაგებებიდან და ნაჩვენებია, რომ წმინდა ანთიმოზი არგუმენტაციისთვის ხშირად იყენებს წმინდა წერილს, და ამას აკეთებს არა მხოლოდ როგორც ტექსტის, არამედ მისი პატრისტული განმარტებების კარგი მცოდნე. მიტროპოლიტ ანთიმოზს ხშირად მოყავს ციტატები წმინდა მამებიდან და განმარტავს ტექსტებს სულიერი, მისტიკური და მეტაფიზიკური შინაარსით. უნგრო-ვლახელი ივერიელი წმინდანის დიდაქების ნებისმიერ მკითხველს, ექმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს პირდაპირ ბიბლიის ტექსტს კითხულობს. სტატიაში შედარებით დეტალურად განხილულია ანთიმოზ ივერიელის ქადაგება მაცხოვარი იესო ქრისტეს ფერისცვალებაზე, სადაც ნაჩვენებია, რომ ქრისტეს აღდგომის ნათელი მიუღწევადია გოლგოთის, ჯვრისა და მსხვერპლის გარეშე. ზუსტად ეს მსხვერპლისა და მოწამეობრივი აღსრულების გზა გაიარა თავად ანთიმოზ ივერიელმა, როდესაც ოსმალეთის იმპერიის სულთნის ბრძანებით მას წამებით გამოასალმეს სიცოცხლეს. ანთიმოზ ივერიელის სწავლების მთავარი აზრი ის არის, რომ წმინდა წერილს მივყავართ აღდგომის ნათელისკენ, მაგრამ ეს გზა გულისხმობს რწმენას, ცოდვებისგან და ვნებებისგან გათავისუფლებას, მადლის მოპოვებას, ჯვარცმას და ახალი მარადიული ცხოვრებისთვის დაბადებას.

ანთიმოზ ივერიელი და ევროპული  
განმანათლებლობა: ტექსტები და  
კონტექსტები

ANTHIM IVERIANUL AND EUROPEAN  
ENLIGHTENMENT: TEXTS AND CONTEXTS

ANTIM IVIREANUL SI ILUMINISMUL  
EUROPEAN: TEXTE SI CONTEXTE



**შენიშვნებისთვის**



ანტიმოზ ივერიელი და ევროპული  
განმანათლებლობა: ტექსტები და  
კონტექსტები

ANTHIM IVERIANUL AND EUROPEAN ENLIGHTENMENT:  
TEXTS AND CONTEXTS

ANTIM IVIREANUL SI ILUMINISMUL EUROPEAN:  
TEXTE SI CONTEXTE

### მავაყმაკმ ზაზა

წმინდა ანტიმოზ ივერიელი და საქართველოს ევროპული ინტეგრაცია: კულტუროლოგიური და თეოლოგიური ანალიზი

წმინდა ანტიმოზ ივერიელი, უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტი დიდი ქართველი და ამავდროულად რუმინელი მოღვაწე ცხოვრობდა ურთულეს ისტორიულ პერიოდში. ამ კონტექსტში დღესაც XXI საუკუნის დასაწყისში რუმინეთსა და საქართველოს შორის ბევრ მსგავსებას ვპოულობთ: 1) ორივე ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმსარებელია, თანაც საკმაოდ მაღალი რელიგიურობის დონით; 2) ორივე ქვეყანა ვიმყოფებოდის რუსეთის ცარისტული თუ საბჭოთა იმპერიის ზეგავლენის ქვეშ; 3) გავიარეთ კომუნისტურ-ათეისტური და დიქტატორული რეჟიმები; და ბოლოს 4) ევროპული, ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის და დემოკრატიზაციის გზაზე დადგომა.

ევროინტეგრაციაზე საუბრისას ძალზედ აქტუალურად რჩება წმინდა ანტიმოზ ივერიელის მაგალითი. იმ დროს, როდესაც უნგრო-ვლახეთი რეგიონში პოლიტიკურად და ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული ქვეყანა იყო, წმინდა ანტიმოზი მწიგნობრობისა და მესტამბეობის განვითარებით ზრუნავდა არა მხოლოდ რუმინელი, არამედ ქართველი, ბერძენი, სლავი და არაბი ერების განმანათლებლობაზე

### ვიზორენაუ ვიორელი

წმინდა ანტიმოზ ივერიელის მოღვაწეობის მრავალხმრივი მნიშვნელობა რუმინული კულტურისათვის

ნაშრომის მიზანია მრავალხმრივ ჰერმენევტიკულ მეთოდზე დაყრდნობით წარმოაჩინოს რუმინულ კულტურაში ანტიმოზ ივერიელის ღვაწლი. ამგვარი მრავალასპექტიანი ანალიზი უზრუნველყოფს წმინდანის მოღვაწეობისა და შრომების მრავალხმრივი მნიშვნელობის წარმოჩენას. ჩვენ უნდა განვასხვავოთ ერთის მხრივ ის წვლილი, რომელიც მან შეიტანა რუმინული ენის განვითარებაში, რაც თავის მხრივ ემყარებოდა მის მიერ დაფუძნებულ ახალ ჰერმენევტიკულ მოდელს და მეორეს მხრივ, ის ღვაწლი, რომელიც მას მიუძღვის რუმინულ ქრისტიანთა ცხოვრების რაციონალიზებასა და sui generis-ის ინიცირებაში, რომელიც გამოკვეთს ჩანასახში მყოფი რუმინელი ხალხის ნაციონალურ ცნობიერებას. ეს უკანასკნელი პირველ რიგში გამოვლინდა ნაციონალურ ლიტერატურაში, რელიგიაში, კულურაში, მორალსა და იდენტობაში. ნაშრომის მიზანია ვაჩვენოთ თუ რა როლი ითამაშა წმინდანის ასეთმა მრავალხმრივმა და მრავალმნიშვნელოვანმა მოღვაწეობამ რუმინელი ხალხის სულიერ ცხოვრებაში.

შენიშვნებისთვის

## ზამარიაჲმ ანასტასია

### ანთიმოზ ივერიელის მორალის ფილოსოფია და ადრეული ევროპული განმანათლებლობის გამოწვევები

რეფორმაციის დროიდან დასავლურ ქრისტიანობაში სადაო ხდება პრაქტიკულ ცხოვრებაში რწმენისა და კანონის მიმართების საკითხი. ეს საკითხი ანთიმოზ ივერიელის შემოქმედებაშიც ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იჭერს. იმ განსხვავებით, რომ მის ხედვაში ადგილი არ აქვს საეჭვოსა და სადავოს. იგი ემყარება ქრისტიანულ სწავლებას მორალის შესახებ.

მონსენებაში გაანალიზებულია ადრეული განმანათლებლობის ეპოქის გამოწვევები, რომელთა წინაშე დადგა ანთიმოზ ივერიელის მორალის თეოლოგია. დასაბუთებულია, რომ ანთიმოზ ივერიელის შემოქმედებაში, უპირველეს ყოვლისა მის ქადაგებებსა და ტიპიკონში, ქრისტიანული ზნეობა განიხილება და გადმოიცემა: სწავლებით სათნოებათა შესახებ და მისი საპირისპირო - ცოდვის -შეპირისპირებითი ანალიზით და ცხონების შესახებ სწავლების გათვალისწინებით; დადგენილია, რომ ზნეობრივი მოვალეობების ბუნება, უფლის ზნეობრივი კანონიდან გამომდინარეობს.

ანთიმოზ ივერიელის მორალის თეოლოგიის განსხვავება პროტესტანტული ეთიკისა და კათოლიკური მორალის თეოლოგიისაგან განპირობებულია ამ ორ ხედვას შორის არსობრივი წინააღმდეგობებით, კერძოდ, წინააღმდეგობით ხისტ მორალიზმსა და სულიერებას, ზნეობრივ ცდასა და სულიერ ჭვრეტას შორის. განმანათლებლობის ეპოქაში აღმოცენებული მორალიზმი საბოლოო ჯამში უტილიტარისტულ ხედვაში გადაიზრდება, სადაც ქცევის საფუძველი ამწუთიერი სარგებელია. ზნეობა დაყვანილია „ბუნებით მორალზე“, დოგმატები-ზნეობრივ ცდაზე, ასკეტიზმი-სეკულარიზებულია, რასაც ღვთისმეტყველების „მორალურ მონიზმზე“ დაყვანა და საბოლოო ჯამში მისი გაუქმება მოყვება შედეგად.

სულიერების პრინციპი, რომელსაც ემყარება ანთიმოზ ივერიელი, გულისხმობს სულიერი ჭვრეტის უპირობო პრიორიტეტულობას ზნეობრივ ცდასთან მიმართებაში: აქ „მეტაფიზიკური რეალიზმი“ „ზნეობრივ მისტიციზმზე“ უპირატესია, „სულიერი მღვიძარება“-„მორალისტურ ტკობაზე“. ანთიმოზ ივერიელის ზნეობრივი ღვთისმეტყველების მოდელი აშენებულია, როგორც ცხონების გზის, მადლის მოპოვების, ქრისტიანული ცხოვრების წესის დამაფუძნებელი სახელმძღვანელო, ხოლო სისტემური ხასიათი მას ეთიკასა და რელიგიის ფილოსოფიასთან აახლოებს.

მოძიებული თეორიული მასალების მიხედვით ჩატარებული კვლევები და ანთიმოზ ივერიელის ტექსტების ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ წმინდა ანთიმოზის მიერ ადრეული განმანათლებლობის ეპოქაში დაფუძნებულმა პოზიციამ მორალის თეოლოგიასთან მიმართებაში წარმატებით გაართვა თავი დასავლური განმანათლებლობის ეპოქის გამოწვევებს.

## თომაზვილი ნინო

### რელიგიის ენის ღირებულებული ფუნქცია ანთიმოზ ივერიელის ღიდაქების მიხედვით

ფილოსოფოსები ენის ფუნქციად ადამიანის ყოფაში ენის მნიშვნელობასა და როლს მოიაზრებენ. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ზოგადად ენისა და კონკრეტულად, სამეტყველო ენის ფუნქციებს. მეოცე საუკუნის ცნობილმა მეცნიერმა კარლ ბიულერმა ენის კომუნიკაციური, გამოხატვის და მიმართვის ფუნქციები ადამიანის ფსიქიკურ უნარებს – აზროვნებას, გრძნობას და ნებას დაუკავშირა. მანვე იკვლია კომუნიკაციის შემადგენელი სამი კომპონენტის (შეტყობინების გამგზავნი, შეტყობინების მიმღები და ის რასაც შეტყობინება ეხება) როლი ამ

ანთიმოზ ივერიელი და ევროპული  
განმანათლებლობა: ტექსტები და  
კონტექსტები



ANTHIM IVERIANUL AND EUROPEAN  
ENLIGHTENMENT: TEXTS AND CONTEXTS

ANTIM IVIREANUL SI ILUMINISMUL  
EUROPEAN: TEXTE SI CONTEXTE

შენიშვნებისთვის



ანტიმოზ ივერიელი და ევროპული  
განმანათლებლობა: ტექსტები და  
კონტექსტები

ANTHIM IVERIANUL AND EUROPEAN ENLIGHTENMENT:  
TEXTS AND CONTEXTS

ANTIM IVIREANUL SI ILUMINISMUL EUROPEAN:  
TEXTE SI CONTEXTE

პროცესში. სამეტყველო ენის მიმართვის (აპელაციური) ანუ დირექტიული ფუნქცია ვლინდება ინფორმაციის მიმღებთან მიმართებაში, ვისზეც ორიენტირებულია და ვისგანაც მოქმედი მოელის რეაგირებას.

შემდგომში, როდესაც ენის ფილოსოფიაში გაჩნდა სამეტყველო მოქმედების თეორიები, საფუძვლიანად იქნა შესწავლილი ენობრივი აქტები, რომლებშიც ვლინდებოდა ენის დირექტიული ფუნქცია. ფილოსოფოსები (ოსტინი, სერლი) დაინტერესდნენ ენობრივი მოქმედების მნიშვნელობისა და ძალის, ანუ, მსმენელის (შეტყობინების მიმღები) მიერ მოლაპარაკის (შეტყობინების გამგზავნი) გამოთქმის გაგებისა და ზემოქმედების საკითხით. ოსტინი ლაპარაკობდა სამეტყველო აქტების საფუძვლად მდებარე განზრახვის ფენომენზე, რომელიც ყოველთვის მომავალზეა ორიენტირებული და განსახორციელებელ მოქმედებას გულისხმობს. არაერთ სამეტყველო აქტში ასეთი მიზნობრიობა ენის დირექტიულ ფუნქციას ავლენს. ადრესატისადმი მიმართვის შემცველი გამოთქმებით ინფორმაციის გადაცემა ინფორმაციის გაგებასაც გულისხმობს. ეს ნიშნავს, რომ ასეთ ენობრივ მოქმედებას, რომელსაც ილოკუციურ აქტს უწოდებს ოსტინი, აუცილებლად უნდა ახლდეს მსმენელზე ზემოქმედება და მისი მხრიდან ათვისების უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ენობრივი მოქმედებები აქტიურად გამოიყენება რელიგიურ დისკურსში და შესაბამისად, რელიგიის ენის სპეციფიურობას განსაზღვრავს. რელიგიური ტექსტები, იქნება ეს წმიდა წიგნები თუ საეკლესიო ზეპირი მიმართვები მრევლისადმი, ყოველთვის შეიცავს ილოკუციურ გამოთქმებს. მათში შეტყობინების გამგზავნის (ღმერთი ან საეკლესიო პირი) მიზანი-განზრახვაა შეტყობინების მიმღების გარკვეული ფორმირება შესაბამისი რელიგიური კონფესიის ღირებულებათა სისტემის, ნორმების, რწმენის პოსტულატების მიხედვით, რასაც მოჰყვება ამ უკანასკნელის მხრიდან შესაბამისი ქმედება. „ახალ აღთქმაში“ ათი მცნება, ქრისტეს შეგონებანი, იგაგები სწორედ ასეთი გამოთქმებითაა აგებული და ენის დირექტიულ ფუნქციას წარმოაჩენს.

სამაგალითოდ მინდა განვიხილო ერთი, მოცულობით პატარა რელიგიური ტექსტი. ცნობილია, რომ უფლის ქმედება ან მიმართვა ადამიანისადმი მრევლის მიერ ათვისებული რომ ყოფილიყო, განმარტავდნენ საეკლესიო მოღვაწენი. ამ მიზნით დიდმა საეკლესიო მოღვაწემ ანთიმოზ ივერიელმა იესო ქრისტეს ფერისცვალების დღესთან დაკავშირებით წარმოთქვა ქადაგება, რომლის ერთ ფრაგმენტზე გავამახვილებთ ყურადღებას:

„და აჰა, ხმა ღრუბლიდან, რომელმაც თქვა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო ვიყავ, მაგისი ისმინეთ“. ნეტავ, ეს სიტყვები „მაგისი ისმინეთ“ ნათქვამი იყო მხოლოდ მოციქულებისთვის, თუ ჩვენთვისაც? მე მგონი, რომ ეს ჩვენთვისაც იყო ნათქვამი, რადგან ჩვენ ქრისტიანები ვართ და ქრისტეს მოწაფენი. ახლა პირველად უნდა გავიგოთ ამ სიტყვის „ისმინეთ“ მნიშვნელობა. შემდეგ კი უფრო ნათლად გავიგებთ სხვა სიტყვების შინაარსსაც. ეს „ისმინეთ“ აქ არ გაიგება როგორც ცარიელი სიტყვა, რომელიც ადამიანის პირიდან გამოდის და ყურით ვისმენთ, რადგან ასეთი მოსმენა არ ნიშნავს დაჯერებასა და მორჩილებას, არამედ მხოლოდ ხმის გაგებას. სახარებაში იგულისხმება ქმედების დასასრული. მაგალითად, როდესაც მსახურს ეუბნებიან მიდი და გააკეთე, ხოლო მას ესმის რა ეს სიტყვები, ავლენს მორჩილებას, მიდის და ასრულებს ბრძანებას. ასე მამა ღმერთი გვეუბნება: „მაგისი ისმინეთ“, ანუ რასაც გვიბრძანებს ქრისტე, უნდა დავემორჩილოთ და შევასრულოთ მისი ნებისაებრ, ჩვენი სულების სასიკეთოდ.

**შენიშვნებისთვის**





ანტიმოზ ივერიელი და ევროპული  
ზანაძისათვის: ტექსტები და  
კონტექსტები

**ANTHIM IVERIANUL AND EUROPEAN ENLIGHTENMENT:  
TEXTS AND CONTEXTS**

**ANTIM IVIREANUL SI ILUMINISMUL EUROPEAN:  
TEXTE SI CONTEXTE**

2016 წლის ივნისში კუნძულ კრეტაზე უნდა გაიმართოს სრულიად მართლმადიდებელთა წმიდა დიდი კრება. თავიდან ეს კრება მზადდებოდა, როგორც მსოფლიო საეკლესიო კრება, მაგრამ, პატრიარქ ბართლომეოსის აზრით, ეს არ იქნება მსოფლიო კრება, რადგან მასში რომის კათოლიკეები არ მონაწილეობენ. კრეტის დიდი კრების დოკუმენტების პროექტების გამოქვეყნებას აზრთა სხვადასხვაობა და კრიტიკული გამოხმაურებები მოჰყვა. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სინოდმა არ დაუჭირა მხარი ზოგიერთი დოკუმენტის პროექტს, რასაც კონსტანტინეპოლისა და საქართველოს საპატრიარქოებს შორის ურთიერთობის გამწვავება მოჰყვა.

მოსხენებაში ანტიმოზ ივერიელის მიერ გამოცემული სოფიის დიდი კრების აქტები შედარებულია კრეტის დიდი კრების დოკუმენტებს, წარმოჩენილია მათი მსგავსებები და განსხვავებები, ახსნილია რატომ იწვევს წინააღმდეგობებს მართლმადიდებელ ქრისტიანთა შორის კრეტის კრების დოკუმენტების პროექტები.

**მეტრეველი არჩილ**

**საქართველოს რელიგიური პოლიტიკის ინსტიტუციონალიზაცია  
თანამედროვე ეროვნული და საერთაშორისო კონტექსტები**

საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობა სახელმწიფო პოლიტიკის პრაქტიკულად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. საუკუნეების მანძილზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და საეკლესიო ავტოკეფალია ეროვნული თვითმყოფადობის ორ უმთავრეს საყრდენს ქმნიდა. სწორედ ამ ფენომენით შეიძლება დაისვას ტოლობის ნიშანი ქართულ და რუმინულ ისტორიულ გამოცდილებათა შორის. ამასთან, ამ ორი ერის ისტორიას, სახელმწიფოებრივი და საეკლესიო დამოუკიდებლობის იდეას აერთიანებს წმ. ანტიმოზ ივერიელის რელიგიურ-პოლიტიკური მოღვაწეობა.

სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნისა და სეკულარიზაციის თანამედროვე ეპოქაში, რომელიც ამ უკანასკნელთა პარალელურად, საქართველოსთვის პოსტტოტალიტარული რელიგიური რეკონსტრუქციების ტალღით ხასიათდება, სახელმწიფოს პოლიტიკურ დღის წესრიგში სულ უფრო აქტიურად ჩნდება სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობის გადაფასებისა და რელიგიური პოლიტიკის ინსტიტუციონალიზაციის თანამედროვე საყრდენების ფორმირების აუცილებლობა.

დღეს, საქართველო დემოკრატიისა და შესაბამისად, სეკულარიზაციის მკაფიო არჩევანის ერთგულია, თუმცა, ეს არ გამორიცხავს სათანადო რელიგიური პოლიტიკის წარმოების აუცილებლობას. მეტიც, თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა გაცილებით უფრო მძიმე გამოწვევების წინაშე დგას, ვიდრე წარსული გამოცდილება.

**შენიშვნებისთვის**



**ოპოროჩიანუ ვინჩინციუ**

**„ყოველთა წმინდათა“ სახელობის მონასტრის დაარსება  
მიტროპოლიტ ანთიმოზ ივერიელის მიერ**

*საკვანძო სიტყვები: კულტურული მისია, განათლება, ქველმოქმედება.*

ანთიმოზ ივერიელის მიერ დაფუძნებულ „ყოველთა წმინდათა“ მონასტერში ცოცხალი რელიგიური ცხოვრება ჩქეფდა. მონასტერი ზრუნავდა კულტურის განვითარებაზე და ასევე არ ივიწყებდა თავის უპირველეს დანიშნულებას ეზრუნა სამწყსოზე, მათ შორის მეზობელი ეკლესიების მრევლზეც. მონასტირს კედლებიდან სიწმინდისმოყვარეობა, და უფლის სიყვარული ვრცელდებოდა. ანთიმოზ ივერიელის მონასტერი ერთგვარი კულტურული მისიის მატარებელიც იყო, კერძოდ, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობის წიაღს წარმოადგენდა. იმავდროულად მას სოციალურად აქტიური ფუნქცია და მისიაც ჰქონდა.

მიტროპოლიტი ანთიმოზი დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდა მონასტრის დაარსების შესახებ. მისი სურვილი იყო, რომ მონასტერს მრავალმხრივი ფუნქცია ჰქონოდა და აქტიური საქმიანობით მომავალში ნაყოფიერი შედეგი მოეტანა. მიტროპოლიტი ანთიმოზი მისწრაფოდა აეშენებინა არ უბრალოდ სკულპტურებითა და ფერწერით მორთული კომპლექსი, რომელიც დროთა განმავლობაში არქიტექტურულ ძეგლად იქცეოდა, არამედ დაეფუძნებინა ჭეშმარიტად რელიგიურ-კულტურული ცენტრი. ანთიმოზის სურვილი იყო მონასტრის კედლებში ჰარმონიულად ეარსება: სარწმუნოებრივ ცხოვრებასა და კულტურულ საქმიანობას, მქადაგებლობასა და სასკოლო განათლებას. იგი მონასტერს ღმერთისა და ადამიანების მსახურებისთვის მოიაზრებდა. ეს ყოველივე კი იმ მიზნით, რომ აქვე, მიწიერ ცხოვრებაში, ამ სხვადასხვაგვარი საქმეებით ბერებს განედიდებინათ მარადიული შემოქმედი, წმინდანები და ანგელოზები.

ჯერ კიდევ მშენებლობის დასრულებამდე მონასტრისადმი შედგენილი ანდერძი, მოწმობს, რომ იმთავითვე ანთიმოზ ივერიელს ჩაფიქრებული ჰქონდა პირველ რიგში ჭეშმარიტი სულიერი ცენტრის დაფუძნება. იმავდროულად ეს იქნებოდა უნიკალური იდეური საძირკვლის მქონე მონასტერი, რომელიც გააერთიანებდა ბიზანტიურ ტრადიციებს რენესანსთან და მას ბრინკოვიანუს ეპოქის სულით ალავსებდა. მონასტრის განაწესი ასახავდა ანთიმოზ ივერიელის მისწრაფებებს. მონასტირს მოღვაწეებს ევალებოდათ გაჭირვებულებზე, ავადმყოფებზე, პატიმრებზე, მონასტრის კართან მისულ უცხო ადამიანებზე, სწავლის მსურველებზე, გაჭირვებულ გოგონებზე ზრუნვა და მათდამი სიყვარულის გამოჩენა. მონასტერს მორწმუნე ადამიანთათვის განათლებაც უნდა მიეცა, დაეებჯდა წიგნები, უმთავრესად კი მონასტრის მისია იყო დახმარებოდა მორწმუნე ადამიანებს სულის ცხოვნებაში. ანთიმოზ ივერიელმა საკუთარი მოღვაწეობით მონასტერს კარგი რეპუტაცია შეუქმნა. მონასტერი ზრუნავდა გაჭირვებულთათვის მოწყალების გაცემაზე, განათლების, წიგნების ბეჭდვისა და ზოგადად კულტურის განვითარებაზე. წმინდა მოწამე ანთიმოზმა თავისი მაღლმოსილი მჭევრმეტყველებითა და ცხოვრებით რუმინელი ხალხის მეხსიერებაში მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა. ამიტომაც არის, რომ მისი მოწამობრივი აღსასრულიდან (1716 წლის სექტემბერი) მრავალი წლის შემდეგ რუმინეთის მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდმა 1992 წლის ივნისში მოახდინა მისი ოფიციალური კანონიზაცია. რუმინეთის მართლმადიდებლურ კალენდარში წმინდანის მოხსენიების დღედ 27

ანთიმოზ ივერიელი და ევროპული  
განმანათლებლობა: ტექსტები და  
კონტექსტები



**ANTHIM IVERIANUL AND EUROPEAN  
ENLIGHTENMENT: TEXTS AND CONTEXTS**

**ANTIM IVIREANUL SI ILUMINISMUL  
EUROPEAN: TEXTE SI CONTEXTE**

**შენიშვნებისთვის**



## ვიქტორ ოპასკი

### წმინდა ანთიმოზ ივერიელი- განსაკუთრებული ღვაწლი რუმინეთის განახლების საქმეში

მოხსენებაში გაანალიზებულია წმინდა ანთიმოზ ივერიელის განსაკუთრებული ღვაწლი რუმინეთის სახელმწიფოებრივი და რელიგიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია ადრეული ევროპული განმანათლებლობის ეპოქაში წმინდა ანთიმოზის ძალისხმევაზე ქრისტიანული ღირებულებების სოციალურ კონტექსტში დაფუძნების საქმეში. ასევე, იმჟამინდელი მმართველებისა და ეკლესიის ურთიერთმიმართების საკითხებზე.

გამოტანილია დასკვნა, რომ ანთიმოზ ივერიელის ცხოვრება და მოღვაწეობა საუკუნეებით წინ უსწრებდა საკუთარ ეპოქას და რომ მისი ტექსტები არ კარგავს ცხოვლისმყოფელობას თანამედროვე სამყაროს კონტექსტში.

## მიტროპოლიტი თეოდოსი აპტრემსკუ /ზომდან კირილუცა

### ანთიმოზ ივერიელის ქადაგებისა და მათი თემატიკის შესახებ

*საკანძო სიტყვები: ევროპული ქრისტიანული კულტურა, საღვთო ლიტურგია, პედაგოგიური საქმიანობა.*

ანთიმოზ ივერიელის, როგორც უმაღლესი სასულიერო იერარქის მოღვაწეობა, თავდაპირველად ქალაქ რიმნიკუ ვალეაჩეას ეპისკოპოსად, და შემდეგ ვლახეთის მთავარეპისკოპოსად, გამოირჩეოდა არა მხოლოდ მოძღვრის, არამედ ეკლესიოლოგიური და კანონიკური საქმიანობითაც.

მისი განმანათლებლური საქმიანობის ბრწყინვალე ხორცშესხმაა საღვთო ლიტურგიის დროს წარმოთქმული გასაოცრად დიდი რაოდენობის ქადაგებები; ასევე, მისი უმაღლესი იერარქიული სტატუსიდან გამომდინარე, მას მრავალგზის ჰქონდა საშუალება საჭიროებისამებრ გამოეთქვა აზრი სხვადასხვა შინაარსის მრავალფეროვან თემატიკაზე თეოლოგიურ, ფილოსოფიურ, ლიტერატურულ, თუ ისტორიის საკითხებზე.

წმინდა ანთიმის „ქადაგებებთან“ ზიარება საშუალებას გვაძლევს უკეთ შევიმეცნოთ მე-17 საუკუნის მიწურულისა და მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფოსის, ღვთისმეტყველისა და ქრისტიანული ზნეობის დამცველის მსოფლმხედველობის საფუძვლები. „ქადაგებები“ ასევე შუქს ფენს იმ ეპოქის სოციალურ რეალობას, აცოცხლებს ადამიანთაშორისი ურთიერთობების თავისებურებებს, ანთიმოზის თვალწინ მიმდინარე მოვლენებს, რომელთაც იგი ეკლესიის ამბიონიდან აკვირდებოდა, და რასაც ბრწყინვალე ორატორული ნიჭის წყალობით საფუძვლიან შეფასებას აძლევდა.

ეს კატეხეტიკურ-ჰომილიტიკური შინაარსის მატარებელი "ქადაგებები" - ევროპულ ქრისტიანულ ლიტერატურაში, განსაკუთრებულად გამორჩეული ლიტერატურული სტილისა და თემატიკის წყალობით, ფაქტურად კვლავაც რჩება კლასიკურ ნიმუშად და მისაბად ეტალონად. მათი ანალიზი წარმოადგენს ჩვენი მოხსენების მთავარ თემას.

ანთიმოზ ივერიელი და ევროპული  
განმანათლებლობა: ტექსტები და  
კონტექსტები

ANTHIM IVERIANUL AND EUROPEAN  
ENLIGHTENMENT: TEXTS AND CONTEXTS

ANTIM IVIREANUL SI ILUMINISMUL  
EUROPEAN: TEXTE SI CONTEXTE



**შენიშვნებისთვის**



ანტიმოზ ივერიელი და ევროპული  
განმანათლებლობა: ტექსტები და  
კონტექსტები

ANTHIM IVERIAN AND EUROPEAN ENLIGHTENMENT:  
TEXTS AND CONTEXTS

ANTIM IVIREANUL SI ILUMINISMUL EUROPEAN:  
TEXTE SI CONTEXTE

**რამიშვილი ვალერიან**

ანტიმოზ ივერიელის სინანულის თეოლოგია ევროპული რეფორმაციისა და განმანათლებლობის კონტექსტში

ანტიმოზ ივერიელი ევროპული დონის მოაზროვნე და მოღვაწეა, რომელიც სრულიად აცნობიერებს მისი თანამედროვე ევროპის პოლიტიკურ, რელიგიურ და სულიერ კონტექსტს, ისტორიული განვითარების ტენდენციებს, გამოწვევებს და ცდილობს პასუხი გასცეს ამ პრობლემებს. მისი მსოფლმხედველობრივი და რელიგიური პოზიცია შეიძლება განვიხილოთ როგორც სინანულის თეოლოგია.

რენესანსული სიცოცხლის სიხარული, ამაღლებული განწყობილება და იდეალები შეიცვალა სრული უიმედობით და შიშით. კათოლიკური ეკლესია და ქრისტიანული რწმენა კრიზისს განიცდის, ეკლესიას უტევს ბუნებისმეტყველებული ცოდნა, განმანათლებლობის სეკულარიზმი. კრიზისმა წინა პლანზე წამოწია ქრისტიანის პასუხისმგებლობის საკითხი საკუთარი რწმენის და ღმერთის წინაშე რწმენის დაცვისა და შენარჩუნების საქმეში.

ეპოქა რწმენის, ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობის ძირითადი ფორმის გვერდით გაიზარებს ამ მიმართების ახალ პლასტს, ქრისტიანულ ფსიქოლოგიას (ს. კირკეგარდი). ღმერთის შემეცნების, ღმერთის არსებობის დასაბუთების ამოცანა შეიცვალა იმის დადგენით თუ რა განცდას წარმოშობს ღმერთის წინაშე დგომა ადამიანში. ეპოქის ყველა დიდი მოაზროვნე ცდილობს გამოხატოს ადამიანის ძირითადი მეტაფიზიკური განცდა, ადამიანის ექსისტენციალური დამოკიდებულება და არა ცნება, რაც გამოწვეულია ადამიანი-ღმერთის მიმართების ხასიათით.

ადამიანისა და ღმერთის მიმართების ეპოქისათვის ძირითადი, განმსაზღვრელი, გაბატონებულ გრძნობად მიჩნულია: მიტოვებულობის და უიმედობის განცდა(ლუთერი), შიშის, ძრწოლის და სასოწარკვეთილების განცდა (ს. კირკეგარდი), სინანულის განცდა (ანტიმი), „ღმერთის სიკვდილის“ განცდა (ნიცშე). ვისაც არ განუცდია მარტოობა, ძრწოლა, (ლუთერი) სასოწარკვეთილება (კირკეგორი), თავისი ცოდვის სიმძიმე, (რუსული ფილოსოფია), სინანული, ის ვერ მივა ღმერთთან.

ანტიმოზ ივერიელი ასე ხედავს ევროპის გონით და ექსისტენციალურ ვითარებას: „ზღვასავით ფართოა მსოფლიოში კერპთაყვანისცემა, სამყარო დაფარულია მრავალღმერთიანობის ღრუბლით. ურწმუნოების სიღრმე შთანთქავს მთელ მსოფლიოს; ადამიანები იხრჩობიან ეშმაკების ტალღებში.“ კერპთაყვანისმცემლობა, მრავალღმერთიანობა და ურწმუნობა გულისხმობს, რომ ერთიანი ქრისტიანული რწმენა დაიწყო და ყველა აცხადებდა, რომ იგი ფლობდა ჭეშმარიტებისაკენ ერთადერთ სწორ გზას. ღმერთის გაგება, რწმენა განსხვავებული ხდება, ღმერთის და ღვთაებრივი ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა კი მრავალგვარია. მორწმუნე დაბნეული იყო. ეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას და მოვალეობას აკისრებდა ქრისტიანულ ეკლესიას, მართმადიდებლობას და ყველა მოაზროვნე, მორწმუნე მართმადიდებელს. შეცვალა მორწმუნის და მოძღვარის მიმართების ხასიათი და მათი მოვალეობა საკუთარი რწმენის დაცვისა და შენარჩუნებისათვის.

**შენიშვნებისთვის**





ანტიმოზ ივერიელი და ევროპული  
განმანათლებლობა: ტექსტები და  
კონტექსტები

ANTHIM IVERIAN AND EUROPEAN ENLIGHTENMENT:  
TEXTS AND CONTEXTS

ANTIM IVIREANUL SI ILUMINISMUL EUROPEAN:  
TEXTE SI CONTEXTE

**სიმა ბაგალიმერი**

ანტიმოზ ივერიელის ორატორული ხელოვნება

**საკვანძო სიტყვები:** დამფუძნებელი, ორატორული ხელოვნება, ქადაგება, საჯარო საუბრის ტექნიკა, რიტორიკა, მადლმოსილი მჭევრმეტყველება, ბიზანტიური რიტორიკა, ლიტერატურული კრიტიკა, რუმინული ლიტერატურა.

წმინდა მოწამე ანტიმოზმა თავისი მადლმოსილი მჭევრმეტყველებითა და ცხოვრებით რუმინელი ხალხის მეხსიერებაში მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა. ამიტომაც არის, რომ მისი მოწამეობრივი აღსასრულიდან (1716 წლის სექტემბერი) მრავალი წლის შემდეგ რუმინეთის მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდმა 1992 წლის ივნისში მოახდინა მისი ოფიციალური კანონიზაცია. რუმინეთის მართლმადიდებლურ კალენდარში წმინდანის მოხსენიების დღედ 27 სექტემბერი დაწესდა. შთამბეჭდავია, რომ რუმინული კულტურისა და სულიერების უდიდესი მოღვაწის, წმინდა ანტიმოზის პიროვნება, დღეს საქართველოში ხელახლა იქნა აღმოჩენილი.

ანტიმოზ ივერიელის ორატორული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია მისი „დიდაქები“. მათ შორის აღსანიშნავია: „ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღეს წარმოთქმული ჰომილია“ და „მიცვალებულის სახელზე წარმოთქმული ჰომილია“. ეს ტექსტები გამორჩეული მნიშვნელობისაა, რადგან მათში ანტიმოზ ივერიელის რელიგიური მჭევრმეტყველება მხატვრული ექსპრესიის სხვადასხვა ფორმას ღებულობს.

რაც შეეხება „დიდაქს“ სტრუქტურას, იგი მოიცავს კლასიკური ორატორული ტექსტისთვის დამახასიათებელი ექვსი კომპონენტიდან სამს: შესავალი (ჩვეულებისამებრ მოკლე, რომელიც ძირითად თემას ზოგადად შეეხება); განმარტება/მრევლისადმი მიმართვა (ის ყოველთვის საზოგადოების ყურადღების მიპყრობისკენაა მიმართული, აქვს მორალურ-დიდაქტიკური დანიშნულება. მუდმივად ხდება პარალელის გავლება ბიბლიურ დროსა და ადამიანთა თანამედროე სულიერი თვალსაზრისით დაუძღვრებულ ყოფას შორის); დასასრული (ქადაგების შემაჯამებელი ნაწილი, რომელსაც ახლავს ქრისტიანული ლოცვა).

ტექსტები რიტორიკული ეპიზოდების სერიებისაგან შედგება, მათ შორის საზღვრის გავლება კი შესაძლებელია ემოციურ-ექსპრესიული ფუნქციის თანმიმდევრობითობაზე დაყრდნობით. ე.წ. შიდა რითმი თემატურ განმეორებებს მოიცავს და სტრუქტურულ-ტექსტუალურ მხარეს ხშირად ნათლად გამოხატავს. ანტიმოზ ივერიელის ქადაგებებს აქვს ერთი თავისებურება: შიდა ე.წ. არქიტექტურული ბალანსი. „დიდაქები“ დიალექტიკური ხასიათისაა, მათი არსი მოკლებულია სტერეოტიპულ მახასიათებლებს, რომლებიც ანტიმოზის წინამორბედ ქადაგებელთა ჰომილების თანამდევნი იყო. ამ ნიშნით ანტიმოზ ივერიელი მრავალ თანამედროვე ქადაგებელს აღემატება.

**შენიშვნებისთვის**

## სტომენსკუ კონსტანტინე

ანთიმოზ ივერიელი და რუმინული ჰუმანიზმის განვითარება

ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ანთიმოზ ივერიელის გადამწყვეტი როლი რუმინული ჰუმანიზმის განვითარების საქმეში. ავტორის აზრით, აღმოსავლეთ ევროპის კულტურა არ არის ახალი იდეების პასიური მიმღები, არამედ ის არის სფერო სადაც ჰუმანიზტური იდეები ისტორიული რეალობასთან ადაპტირდება. მე-17 საუკუნის დასაწყისში ფეოდალური რუმინეთის მიწაზე ვფიქრობთ, რომ აშკარაა კულტურული განახლების პროცესი. ზოგი ინტელექტუალი და მათ შორის ანთიმოზ ივერიელი გახდნენ რუმინული საზოგადოების მოდერნიზაციის ფაქტორი. დღეს ჩვენ შეგვიძლია ვიკამათოთ იმაზე, ჰქონდათ თუ არა მათ საერთო, შეთანხმებული მოქმედების გეგმა მათი მოღვაწეობის დასაწყისიდან ბოლომდე. ავტორის აზრით, რუმინული ჰუმანიზმის საზომი პრინციპები შემდეგია:

- რუმინული ჰუმანიზმი წარმოადგენდა აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურულ სინთეზს, იგი იყო გარკვეული ხიდი ამ ორი საზოგადოების ურთიერთობაში ბიზანტიური ტრადიციული გაგებით.
- რუმინული ენა გამოიყენებოდა საჯარო საუბრებში, პირველ რიგში ეკლესიაში და შემდეგ განათლებაში.
- საეკლესიო მწერლობის განსაკუთრებული მხარდაჭერა საერთო ეროვნული განათლებისთვის.
- ახალი კრიტიკული სააზროვნო მოდელის დამკვიდრება, რომელიც ეფუძნებოდა არგუმენტაციას და რიტორიკას.
- ქრისტიანულ ტრადიციაზე დამყარებული მორალური ღირებულებების წინა პლანზე წამოწევა
- განათლებისა და ქრისტიანობის გავრცელება სამეზობლო არეალში

ავტორის მიზანია გაანალიზოს ანთიმოზ ივერიელის როგორც ვლახეთის ყველაზე მნიშვნელოვანი ჰუმანიზტის წვლილი, რომელიც ზემოთ განხილულ პროექტში იღებდა მონაწილეობას.

ანთიმოზ ივერიელი და ევროპული  
განმანათლებლობა: ტექსტები და  
კონტექსტები



ANTHIM IVERIANUL AND EUROPEAN  
ENLIGHTENMENT: TEXTS AND CONTEXTS

ANTIM IVIREANUL SI ILUMINISMUL  
EUROPEAN: TEXTE SI CONTEXTE

**შენიშვნებისთვის**



ანტიმოზ ივერიელი და ევროპული  
ბანამანათლებლობა: ტექსტები და  
კონტექსტები

ANTHIM IVERIANUL AND EUROPEAN ENLIGHTENMENT:  
TEXTS AND CONTEXTS

ANTIM IVIREANUL SI ILUMINISMUL EUROPEAN:  
TEXTE SI CONTEXTE

**ტიტუ საგუ**

**წმინდა ანტიმოზ ივერიელი- თეოლოგია, ენა, კულტურა**

*საკვანძო სიტყვები: წმინდა ანტიმოზ ივერიელი, მარტვილი (წამებული), მართლმადიდებლური თეოლოგია, ლიტერატურული ენა, რუმინული ენა, რუმინული კულტურა.*

მრავალი შესაძლებლობიდან მხოლოდ ერთმა შეიძლება მიაღწიოს იმდენს, რამდენსაც პიროვნებამ, რომელიც წმინდა ანტიმოზ ივერიელის სახელით არის ცნობილი. ავტორი ცდილობს საკუთარ ნაშრომში წარმოადგინოს ის კომპლექსური საბუთი, რაც წმინდა ანტიმოზ ივერიელმა თეოლოგიური ნააზრევით რუმინელი ხალხისთვის გასწია ენასა და კულტურაში. თუ მკვლევარებს სურთ შეისწავლონ წმინდა ანტიმოზის მრავალმხრივი მოღვაწეობა, ბევრი შესაძლო ვარიანტიდან საკითხის განხილვა უნდა მოხდეს თეოლოგიის, კულტურის და ენის ურთიერთობის კრილში. წმინდა ანტიმოზი ცხოვრობდა ისტორიის ყველაზე მშფოთვარე პერიოდში. საკითხის მრავალფუნქციურად განხილვა რა თქმა უნდა წარმოაჩენს მის პიროვნულ თვისებებს. (თეოლოგიის, ენის, კულტურის, მორალის და პოლიტიკის ფილოსოფიის კრილიში). პიროვნულობაზე ყურადღების გამახვილების დროს რუმინელი ავტორები ხაზს უსვამენ წმინდა ანტიმოზის მორალურობას და მის მდიდარ სულიერ სამყაროს. უდაოა, რომ წმინდანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე დამყარებული ინტერპრეტაციები უკეთ წარმოაჩენს მკვლევართა დასკვნებს.

უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა ანტიმოზ ივერიელი „ყო რუმინული სალიტერატურო ენისა და კულტურის ფუძემდებელი“. მას ასევე იცნობდნენ ვლახეთის მიტროპოლიაში, სადაც რუმინელი ხალხისთვის დაამკვიდრა რელიგიური თავისუფლება და უფლებები. ავტორი ცდილობს წმინდა ანტიმოზ ივერიელის ღვაწლის შესახებ საკუთარი კვლევა და ინტერპრეტაციები დაამყაროს წმინდანის ნაშრომის, „დიდაქების“ ანალიზს.

**ფილოლოგიური ირანა**

**ანტიოქიის საპატრიარქოსთან ერთობლივი შრომა: ანტიმოზ ივერიელი და პატრიარქი ათანასე III დაბასი**

ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი არაბი ქრისტიანებისთვის განსაკუთრებით მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში, უმთავრეს შთავონების წყაროს წარმოადგენდა საბეჭდო მანქანაზე არაბულად ბეჭვდა. ამ პერიოდში ანტიოქიის ეკლესიის რამდენიმე პატრიარქმა მიზნად დაისახა საკუთარი მრევლის სულიერი და სოციალური განვითარება. ერთ-ერთი მათგანი იყო პატრიარქი ათანასე დაბასი (1685-1694, 1720-1724), რომელმაც მას შემდეგ, რაც მან დროებით უარი თქვა საეპისკოპოსო წოდებაზე, მისი მეტოქე კირილე V წყალობით იმოგზაურა რუმინეთის სამთავროში 1698-1705 წ.წ. მოგზაურობის მიზანი იყო პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭრის მოპოვება. მთავარმა ბრინკოვეანუმ, რომელიც იმ პერიოდში მართავდა ვლახეთს (1688-1714) ათანასე დაბასს საეკლესიო წიგნების არაბულად ბეჭვვისათვის სპეციალურად მიუჩინა ანტიმოზ ივერიელი, მის კარზე ყველაზე სახელოვანი მბეჭვავი, გრავიორი და სწავლული. წინამდებარე ნაშრომი

**შენიშვნებისთვის**







ანტიმოზ ივერიელი და ევროპული  
განმანათლებლობა: ტექსტები და  
კონტექსტები

**ANTHIM IVERIANUL AND EUROPEAN ENLIGHTENMENT:  
TEXTS AND CONTEXTS**

**ANTIM IVIREANUL SI ILUMINISMUL EUROPEAN:  
TEXTE SI CONTEXTE**

ფილოსოფიური მიმდინარეობების ჩამოყალიბებამდე მათ წინ უძღვის მსოფლმხედველობის მომწიფება და ტენდენციების ჩამოყალიბება. ასეთივე შემთხვევა გვაქვს განმანათლებლობასთან დაკავშირებითაც. ეს ტენდენციები საუკეთესოდ ვლინდება ანტიმოზ ივერიელის, ანტონ კათალიკოსის, სულხან-საბასა და დავით გურამიშვილის მოღვაწეობასა და შემოქმედებაში.

აღინიშნა, რომ ანტიმოზ ივერიელს ლიტერატურის თეორიისა თუ ფილოსოფიური მიმდინარეობების თვალსაზრისით კლასიკოს განმანათლებლად ვერ ჩავთვლით. ამავე დროს, სამეცნიერო ლიტერატურაში განმანათლებლებად მოიხსენიებენ ანტონ კათალიკოსს, სულხან-საბასა და დავით გურამიშვილსაც, თუმცა არცერთი მათგანი კლასიკური განმარტებით განმანათლებელი არ არის არც ფილოსოფიური და არც ლიტერატურული თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, რომ დასახელებული მოღვაწეები ერთსა და იმავე ეპოქას წარმოადგენენ. თითოეულის მოღვაწეობა (ახლა უკვე ანტიმოზ ივერიელისაც) გამოკვლეული და ფუნდამენტურად არის აღწერილი უახლეს ლიტერატურაში. აღნიშნულია ისიც, რომ არცერთი მათგანი ფილოსოფიური და ლიტერატურული თვალსაზრისით განმანათლებლურ იდეებს ზედმიწევნით არ იზიარებდა. მიუხედავად ამისა, ანტიმოზ ივერიელს უწოდებენ „განმანათლებელსა და ჰუმანისტს“. სწორედ განმანათლებლური ტენდენციების და დანატოვარი კვალის თვალსაზრისით არის ანტიმოზი განმანათლებელიც და ჰუმანისტიც. სულხან-საბას, ანტონისა და დავით გურამიშვილის განმანათლებლობაც კულტუროლოგიური რაკურსით უნდა განვიხილოთ.

მე-17 საუკუნე პოლიტიკურ-მსოფლმხედველობრივი სიჭრელით გამოირჩევა. საინტერესოა ლიტერატურული პარალელი ანტიმოზსა და დავით გურამიშვილს შორის, ასევე მათი შედარება სულხან-საბასა და ანტონ პირველთანაც. მათ შედარებას საფუძვლად უდევს საერთო ეპოქა, ხვედრი (დავითისა და ანტიმოზის შემთხვევაში), ტენდენციები, ინტერესები, ეპოქალური მნიშვნელობა, დამოკიდებულება განათლებისა და ცოდნისადმი, ნოვაციისკენ სწრაფვისა და სიახლეთა სხვათათვის გადაცემის სურვილი. ეს კი სწორედ ის წახნაგებია, რომელთა გამოც კულტურისა და ლიტერატურის ისტორიის მკვლევარნი დასახელებულ მოღვაწეებს განმანათლებლებად და ჰუმანისტებად მოიხსენიებენ.

**ჩიბუღესკუ კოლიკარაჰე**

**ახალი ინფორმაცია წმინდა მამისა და წამებულის ანტიმოზ ივერიელის შესახებ**

წმინდა მამა და წამებული ანტიმოზ ივერიელი, იერუსალიმის მონასტერში ბერად ყოფნის დროს პატრიარქ დოსითეოსის დავალებით გაემგზავრა მოლდოვაში სეტატუას მონასტერში ბერძნული სტამბის გასახნელად. მოგვიანებით ანტიმოზ ივერიელი გაემგზავრა ვლახეთში (1660-1691), რისი მიზეზიც ალბათ მთავარ კონსტანტინ ბრინკოვეანუს შემოთავაზება იყო. 1694 წლიდან ღირსი მამა ანტიმი სნაგოვოს მონასტრის წინამძღვრად დანიშნეს, აქ მან დააარსა დედაქალაქის სტამბა, სადაც უკვე სამი წლის განმავლობაში მუშაობდა (1691-1694), მაშინ ანტიმი იყო მღვდელი მიტროფანეს დამხმარე (მღვდლად დანიშნეს პროვინცია ბუზაუში 1691 წელს).

წმინდა ანტიმოზის მიზანი სნაგოვოში არა მხოლოდ სტამბის და სკოლის დაარსება იყო, არამედ იგი ასევე ზრუნავდა ეკლესიის აღდგენაზეც. ეკლესიის აღდგენასა და მართვაში შეტანილი წვლილის გამო წმინდა ანტიმოზი დაჯილდოვდა მონასტრის სიწმინდეებით. მან ეს სიწმინდეები, უკლებლივ ყველა, შესწირა ბუქარესტის ყველა წმინდანის სახელობის ეკლესიას.





ანტიმოზ ივერიელი და ევროპული  
განმანათლებლობა: ტექსტები და  
კონტექსტები

**ANTHIM IVERIAN AND EUROPEAN ENLIGHTENMENT:  
TEXTS AND CONTEXTS**

**ANTIM IVIREANUL SI ILUMINISMUL EUROPEAN:  
TEXTE SI CONTEXTE**

შეიძლება ითქვას რომ სახარება ასე იწყება: “შეინანეთ რამეთუ მოახლოვებულია სასუფეველი ცათა”. სინანული ღმერთმა დააწესა ცათა სასუფეველის, მარადიულობის, საღმრთო საცხოვრებელში გადასახლებისთვის აუცილებელ პირობად. ახლოსაა დრო, როცა სხვაგვარი კანონზომიერებები შემოვა ძალაში. თუ ახლა მეფობს, მოქმედებს შევიბრობითობის, უსამართლობის, გაურკვევლობის სული (1კორ: 13,12- რადგანაც ახლა ბუნდოვნად ვხედავთ, როგორც სარკეში, მაშინ კი პირისპირ ვიხილავთ; ახლა ნაწილობრივ ვიცი, ხოლო მაშინ შევიცნობ, როგორც თავად შევიმეცნები). მაცხოვარი ამბობს, რომ შეიცვლება ეს რეალობა და საღმრთო შინაარსებით აივსება სამყარო. სამყარო შეიცვლება არა მარტო ფიზიკურად, მატერიალურად ახალი ცისა და ახალი მიწის გაგებით ( გამოცხადება 21.1. მერე ვიხილე ახალი ცა და ახალი მიწა, რადგანაც პირველი ცა და პირველი მიწა გადაეგო), არამედ არსობრივად, ონტოლოგიურად, აქსიოლოგიური შინაარსითაც. ამ ახალი რეალობის მისაღებად, ბუნებრივად და უმტკივნეულოდ შესათვისებლად, მოსამზადებლად გვაქვს მოცემული სიცოცხლე-იმისთვის რომ ყველგან და ყოველთვის სიყვარული გახდეს ადვილად მისაღები.

**ჯალაღონია ღმრთობა**

**იღვტობის ძიება თუ ადამიანის არსის საიდუმლო ანტიმოზ ივერიელის ტექსტებში (ქადაგებები, ტიპიკონი, კანონთა თავები)**

ანტიმოზ ივერიელი სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა მსოფლიო ქრისტიანულ ისტორიაში. წმ. ანტიმოზი დიდი თეოლოგი და გამორჩეული მოღვაწეა, რომლის შემოქმედება შეიძლება მოვიხსენიოთ „ახალ ოქროპირად“, „ნათესავისა ჩვენისა განმანათლებლად“. ასე მოიხსენიებდნენ დიდ ათონელ მამას, ეფთვიმე მთაწმინდელს.

დიდი ადამიანები უბრალოებაში იკარგებიან... ზოგჯერ იმდენად მიჩქმალულია ხოლმე მათი მოღვაწეობანი, რომ თუ კონკრეტულად არ ჩაუღრმავდი თითოეულის პიროვნებასა და ღვაწლს, თუ ისტორიის გაცრეცილ ფურცლებზე მათ შესახებ ნაწერი კარგად არ ამოიკითხე, ისე "უცნობად" დარჩებიან ჩვენთვის. ანტიმოზ ივერიელიელმა, რომელმაც რამდენადაც უცნაურიც არ იყოს, არ დაგვიტოვა დაწერილი ბიოგრაფია, მაგრამ დაგვიტოვა უფრო მნიშვნელოვანი რამ - „სწავლებანი“, „დიდაქები“, „საეკლესიო სწავლებანი“, თავდასაცავლ დაწერილი წერილები, წინასიტყვაობები, ტიპიკონი...

ანტიმოზ ივერიელის ვინაობის გასარკვევად არსებობს მრავალი კითხვა: ზოგიერთ კითხვას პირობითად შეიძლება პასუხი გაეცეს მისი დიდაქების ანალიზისას, მისი ფაქსიმილის თუ ისტორიული პერიოდის შესწავლით. ზოგჯერ ბიოგრაფია ხსნის პიროვნების სულის სარკეს, ანდა ტექსტები და ა.შ. თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ამას, შეიძლება სხვადასხვა მიდგომებში ვეძებოთ განსახილველი საკითხები, კერძოდ: ბიოგრაფიულ, ტექსტუალურ, აპოლოგიურ, სელექციურ თუ პრობლემურ მიდგომებში და ა.შ.

დღემდე არსებული კვლევებით ხელმისაწვდომ მასალებში პასუხებს ვერ ვპოულობთ. კითხვა კითხვაზე ჩნდება.

ცივილიზაციები და კულტურები უდავოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რუმინული მწერლობა და კულტურა ნაწილობრივ მაინც განსხვავდება იუდაური ან ევროპული მწერლობისა და კულტურისაგან. განსხვავებულობის სიდიადის წარმოჩენაში უდავოდ უმნიშვნელოვანესი როლი

**უმნიშვნელობის**

შეასრულა ანთიმოზ ივერიელმა. სამშობლოდან მოწვევტილმა ანთიმოზმა „ვლახეთი აქცია ცენტრად, რომელიც მთელ საქრისტიანო აღმოსავლეთს წიგნებით კვებავდა“. მას მუდმივად ახსოვს სამშობლო საქართველო და ვლახეთი. რა არის მისთვის საქართველო-ივერია და რა არის მისთვის ვლახეთი. ყოველ მის მიერ შექმნილ საღვთისმეტყველო ნააზრევი, საეკლესიო ნაგებობა, მონუმენტული კარები, ტაძრის მოხატულობა, დიდაქებსა თუ თავდასაცავ უსტარებს ამშვენებს მისი კალიგრაფიული კვეთილობით გამორჩეული ხელწერა „ანთიმოზ ივერიელი“. იგი ყველგან ამას იმეორებს, თითქოსდა ეშინია გაორებისა. ამავე დროს თავდადებით იბრძვის ვლახეთის თავისუფლებისათვის.

როგორც ამბობენ „ადამიანის სული ბუნებით ქრისტიანია“. სულის სიმაღლეზე ადამიანი თითქოსდა ერთიანი ხდება ქრისტესთან. წმ. ანთიმოზმა ამ შეერთებაში შესძლო განმტკიცება და თავის დამკვიდრება. მან შესძლო თავისი ჭეშმარიტი „მე“-ს პოვნა. ამ სიმაღლიდან ქადაგებებით ის თითქოსდა ამბიონზე არ დგას, მრევლის გვერდითაა, ესაუბრება მათ, ნელ-ნელა სხვადასხვა სახარებისეული სიბრძნის მჭერმეტყველებითი განმარტებებით ახდენს მათ მოქცევას. მარადიული სიყვარული ღმერთშია, რომ ეს სოფელი წარმავალია. მისი მთავარი შეგონებაა ეძიეთ წარმავალში მარადიული. მისი ქადაგებებში ღრმა განსწავლულობით გადმოცემულია ადამიანის სულის ანატომია. თუ როგორ უნდა შესძლოს ადამიანმა ადგილის დამკვიდრება ზეციურ სასუფეველში და რა არის წუთისოფელი, მიწიერი ცხოვრება.

წმინდა ანთიმოზის მამხილებელი ქადაგებები არ არის ვინმესათვის ღირსების შემლახავი. მისი ნებისმიერი ქადაგება იწყება თავის თავის მხილებით, მრევლის წინაშე ცოდვების მონანიებით, რაც ქმნის ლოცვისა და სიმშვიდის განწყობილებას. სამწყსო გრძნობს ყოველივე ამას, მათი მზერაც, სმენაც, გულიც გრძნობს ჭეშმარიტი მჭერმეტყველის ნაქადაგარს, განიცდის და სულის მზერა, უზენაესის, იესო ქრისტეს სიდიადისაკენ არის მიპყრობილი.

ადამიანი ჭეშმარიტად გენიალურს, მხოლოდ მაშინ ქმნის, როდესაც სამყაროს შემოქმედის ჩანაფიქრს ჩასწვდება. ანთიმოზ ივერიელმა შესძლო ამ დიადის წვდომა. მისი გენიალური ქმნილებები, რომლებიც ფორმისა და ტექნიკის დიდ სრულყოფილების ნიმუშებს წარმოადგენენ, თვით შემოქმედი ღმერთის, ჩვენთვის მიუწვდომელი აზრების გამოვლენას წარმოადგენენ. ამდენად იგი ნამდვილი ჰუმანიზმის და განმანათლებლობის იდეის მატარებელი პიროვნება იყო.

როდესაც ვაანალიზებთ წმ. ანთიმოზ ივერიელის თხზულებებს, მასში ვლინდება წმ. ანთიმოზ ივერიელის სულიერი ავტობიოგრაფია. მხოლოდ ამ პროფილში წმ. ანთიმოზის განხილვა ვერ მოგვცემს მისეულ სრულ სურათს, რადგან მისი სასტამბო, საეკლესიო მშენებლობა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის განხილვის გარეშე ვერ შევქმნით ერთიან ხატს მისი სახის წარმოსაჩვენად.

მას ახასიათებს თავისებური სტილი, ლაღი, ნათელი, მეტყველი-ხატოვანი ენა, სისადავე, აზრის მკაფიოდ და შთამბეჭდავად ჩამოყალიბება, ძირითადის წინ წამოწევა-სახისმეტყველება, ანალიტიკური აზროვნება, სულიერი ამაღლება და მარადიული შიშით განმსჭვალვა, შიში შეუცნობელისა, რომელსაც მივყავართ ღმერთამდე.

ანთიმოზ ივერიელი და ევროპული  
განმანათლებლობა: ტექსტები და  
კონტექსტები



ANTHIM IVERIANUL AND EUROPEAN  
ENLIGHTENMENT: TEXTS AND CONTEXTS

ANTIM IVIREANUL SI ILUMINISMUL  
EUROPEAN: TEXTE SI CONTEXTE

**შენიშვნებისთვის**



# PROCEEDINGS





საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის  
 განმანათლებლობის  
 დეპარტამენტი

ANTHIM IVERIANUL AND EUROPEAN  
 ENLIGHTENMENT: TEXTS AND CONTEXTS

ANTHIM IVERIANUL SI ILUMINISMUL  
 EUROPEAN: TEXTE SI CONTEXTE

**ADAM (VAKHTANG) AKHALADZE**

**Texts by Anthim Iverianul in Georgian: Discourses of Two/or more Time and Two/or more Spaces**

*Keywords: Translation, Sermons, spaces discourses*

In the presentation there is discussed the peculiarities of texts by Saint Anthim Iverianul in Georgian translation. Komparativistic, hermeneutical and teqtological methods of analyses help to view the very existential essence of texts. In the end there is concluded that in Georgian version of Anthim Iverianul’s Sermons and as well as in other works we can see two, or maybe more time and spece discourses.

**BAGRATION-DAVITASHVILI NINO**

**On Some Peculiarities of Georgian Translation of Anthim Iverianul’s Texts**

*Keywords: Translation, Sermons, Language style*

Anthim Iverianul is one of the outstanding clerical figures of the early enlightener era. Due to the archives materials and recollections of his contemporaries he is known as a sophisticated rhetorician and one of the the reformer of Romanian clerical and literary language, great is his contribution to organizing the first printing house in Georgia. Taking into account the above-mentioned, it is obvious that translation of his works into Georgian is both important and complicated. The first attempt of translating Anthim Iverianul’s works has been done by archpriest Aleksi Kshutashvili. The book enables us to get acquainted with the ideas and activities of our famous ancestor. The translation is done in contemporary Georgian language in order to make the works easily comprehensible for the contemporary readers. In the translated texts there are clearly seen Anthim ’s language style. In some cases there are used archaic grammatical forms and style, which add a hue of archaism to the entire work. In some cases Anthim’s phrases are subject to word-by-word translation. This serves to express the mood of Anthim’s sermons. Even though the same phrases could have been translated in a different way, the translator prefers literal translation, which makes the text easily perceptible for reader.

**NOTES**



**BARNOVI GOCHA**

**Dogma and Theologumena**

**Keywords:** *dogma, Holy Spirit, experience of Church.*

Dogma is a belief or set of beliefs that is accepted by the members of a church unity as a solvating truth (=existential) for all human-beings ; it demands from all his members to except it without being questioned or doubt empirically, as authentic especial interrelation: everything that is about universe and God.

The truth cannot be a dogma, if it does not live in experience and endorse with Church wholeness. That is why dogmas couldn't be formed arithmetically-they may be formulated in the contemporary epoch of new dogmas, because Church is a alive constitution and Holy Spirit is not exist only in definite epochs and historical periods. That's why dogma (and not a personal idea) for becoming a new truth, it has to live in the experience of Church wholeness, not in a single person's thinking, whom he/she happened to be-theologist, or saint.

There is discussed a notion of Theologumena, as an individual idea pronounced by some theologist. There is proved that, it is of great importance to distinguish dogma and theologumena.

**BRACHULI IRAKLI**

**"Metaphyzics" and "Religion" in Anthim Iverianul's Anthropological Conception**

**Keywords:** *Co-creation, love's logic, Biblical anthropology*

Anthim Iverianul's teaching about paculiar signs and structre of human's existence is based on Biblical anthropology. St. Anthim in his "Didahii" gives us interpretation of fundamental principles and original comments of Biblical anthropology. There he gives original theologumena, which is an explication and demonstration of information given implicitly in "Bible". By Anthim's interpretation principle of creation does not mean nihilistic position towards man. Man has his peculiar place between God and Universe. This place is "metaphysical", that founded value of man on ontological and axiological levels and ascertains necessity of "religion". This is a conception of man and God's Co-creation. Man essentially takes part in formation of *ordo amoris*.

Ideas of Man, God and Universe are correlative. It is impossible "metaphysical" and "religious" forms of reflection without this correlation. Metaphysical and religious origins of man are structural elements of person, ethical life. A prior emotional acts-free will, love, goodness, responsibility, etc. -"love's logic" makes realization of potential person. Person by St. Anthim is sacral center of Universe, "an icon of God", in other words Theomorphic center, it is the center of religiosity and sacral. According to St. Anthim "Persona" is neither empty/hollow place, as it was not thought by empirics, nor *animal rationale*, as it was thought by



A series of horizontal dashed lines for taking notes.

**NOTES**



ანტიმურე ივერიელი და  
ევროპული განათლებული  
ტექსტები და კონტექსტები

**ANTHIM IVERIANUL AND EUROPEAN  
ENLIGHTENMENT: TEXTS AND CONTEXTS**

**ANTIM IVIREANUL SI ILUMINISMUL  
EUROPEAN: TEXTE SI CONTEXTE**

representatives of rationalism. A very important material about relation of religion and metaphysics can be founded in sermon by Anthim Iverianul about the elements.

**BUADZE TEIMURAZ**

**Religious-Philosophical Foundations of Enlightenment**

**Keywords:** *Deistic concept of God, rational mind and science, "Enlightenment" writer*

Enlightenment is a highly complex phenomenon, it incorporates many important aspects. Enlightenment can be considered as a specific historical event, which originated in XVII century Europe and reached it's a perfect ideological expression in works of "French philosophers" and "Encyclopedists". At the time of the Enlightenment was seen as a collective symbol of outdated prejudices and fight against the authorities, that inspired individuals for aking responsibility for themselves ("ripeness" as Kant says), and intention of a spread of education.

From this point of view very often Anthim Iverianul is called as "Enlightenment" writer, because he started printed books in Romania and made huge effort for revival of the religious and secular education.

In Georgian reality Ilia Chavchavadze, Nikoloz Baratashvili and others are correctly called as important figures of Georgian Enlightenment. But at the same time it is necessary to distinguish sharp contrast between the "enlightenment" as a symbol and "enlightenment" as a specific, ideology with it's way of historical development, which (in some statements) is essentially contrary to the fundamental principles of the Orthodox worldview.

For example, the Deistic concept of God and the cult of rational mind and science is classical example of this sharp contrast between two worldviews. According Deistic concept of God, the supreme creature does not interfere in the life of the universe. In the XVII century England Deists were often called atheists. This, in some sense justified, because despite the visual differences, the existence of religion for atheism and Deism it is equally impossible. Deism, like atheism, deny the straight connection of human with God, the hope, the divine revelation, miracles, and the sacramental life through church. Denying divine revelation, and the authority of Scripture, Deism argues that all ideological and moral values based only on a rational mind and the authority of practical experience. This, of course, led us to the reality were all fundamental values of human life is completely relative and are dependent on historical, cultural, personal and other circumstances. Also, according to Christian theology, person without divine revelation, only based on the knowledge of own mind, has not possibilities of cognition of God. It is also unjustified optimism when enlightened argues that all mankind problems can be solved with the development of science and technological progress.

**NOTES**

**BUBULASHVILI ELDAR**

**On the Rate of Anthim Iverianul in Georgian Historiography**

*Keywords: Enlightenment, education, paradigm*

The article deals with the activities of Anthim Iverianul, a public figure, a Georgian by origin, in Hungary-Wallachia (Romania) at the end of the 80's of the XVII<sup>th</sup> and the first 20's of the XVIII<sup>th</sup> century and the way they are reflected in Georgian historiography. The first information in the Georgia reality concerning Anthim Iverianul appears at the beginning of the XVIII<sup>th</sup> century when Vakhtang VI (1703-1712) was appointed "Janishina" of Kartli. The first print shop was established in Tbilisi with the help of Michai Ishtvanovich, a pupil of Anthimoz Iverian sent by him. The activities of Anthimoz Iverian are mainly emphasized in this respect. In their publications St. Polievktos Karbelashvili in 1900, and Zakharia Tchitchinadze in 1916 point out to Anthim Iverianul's contribution to the establishment of the Georgian print shop.

Moreover, Zakharia Tchitchinadze states that Anthim Iverianul had been in correspondence with Vakhtang VI in connection with the above mentioned question. It was out of the question to show the diversity of Anthim Iverianul's activities during the Soviet reign; even in Romania where he had been active at work, his rich literary heritage remained unknown for the public, and no wonder that his wide range of activities remains still unknown for the researches of Georgia.

Publications in Georgian concerning Anthim Iverianul appear in the press from the end of the 50s. The publications mainly deal with his participation in the establishment of the Georgian print shop. The most remarkable publications belonging to this period are those by Giorgi Leonidze, David Karetchashvili, Akaki Shanidze, Paata Gugushvili, Shalva Kvashvadze, Shota Kurdgelashvili, etc.

